საინფორმაციო ფურცელი - # 5

ახალქალაქი ჰესის პროექტი

ახალქალაქი ჰესი („პროექტი“) მდებარეობს ახალქალაქის მუნიციპალიტეტში, სამცხე-ჯავახეთის რეგიონში, მდ. ფარავანსა და მდ. კორხზე. პროექტი წარმოდგენილია ორი დამოუკიდებელი წყალმიმღები ნაგებობით, ორი მიწისქვეშა სადაწნეო მილსადენითა და ორი სადგურით, ქსელთან საერთო მიერთებით. პროექტის საერთო დადგმული სიმძლავრეა 9.1 მგვტ, მისი წლიური გამომუშავება კი დაახლოებით 49 გვტ-ია.

პროექტი გამოიყენებს მდ. ფარავანისა და მდ. კორხის წყალს, გამომავალი წყალი კი ჩაედინება მდ. ფარავანში, არსებული ფარავანი ჰესის ზედა ბიეფში. გამომუშავებული ელექტროენერგია მიეწოდება სახელმწიფო ელექტროქსელს ახალი 35 კვ გადამცემი ხაზის საშუალებით.

იმისათვის, რომ უზრუნველყოფილ იქნას საზოგადოების ხმა ფართო დონეზე, კომპანიამ პროექტის ზემოქმედების ქვეშ მყოფ თემებს შესთავაზა აერჩიათ დელეგატები თითოეული თემიდან.
დელეგატები წარმოადგენენ როგორც სოციალური პროექტების განხორციელების საკოორდინაციო პირებს, ასევე კომპანიის მხარდამჭერებს, საზოგადოების წევრების ინფორმირებულობისა და მათი უკუკავშირისათვის.

დეველოპერი კომპანია - შპს „აისი“ სამუშაოების შესრულებას საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად ახორციელებს, რაც გამოიხატება გარემოსა და სოციალურ ასპექტებში ზემოქმედების მინიმუმადე დაყვანითა და ნულოვანი ზიანით ადამიანებისათვის. იგივე ამოცანების შესრულება მოეთხოვება კონტრაქტორს სამუშაოს შესრულების პროცესში.

სოციალური პროგრამა

შპს „აისი “გეგმავს მნიშვნელოვანი როლი შეასრულოს პროექტის ზემოქმედების ქვეშ მყოფი თემების მდგრადი განვითარების საქმეში და ამ მიზნით აფინანსებს სხვადასხვა სოციალურ პროექტს, რომლებიც ხორციელდება კონკრეტულ სოფლებში დადებითი სოციალურ-ეკონომიკური ცვლილებების მისაღწევად.

მიუხედავად იმისა, რომ კომპანიას არ გააჩნია რაიმე სახის ლეგალური მოთხოვნა, მისი კეთილი ნებაა ხელი შეუწყოს თემების მდგრადი განვითარების პროცესს.

იმ მიზნით, რომ პროექტის ზემოქმედების ქვეშ მყოფი სოფლების მოსახლეობას მუდმივად ქონდეს განახლებული ინფორმაცია, კომპანიამ შესთავაზა მოსახლეობას აირჩიოს თემის წევრები დელეგატებად/წარმომადგენლებად. სოციალური პროექტების განხორციელების პროცესში დელეგატები უდიდეს როლს თამაშობენ და ეხმარებიან კომპანიას საზოგადოების წევრებისთვის სხვადასხვა სახის ინფორმაციის მიწოდებაში.

AKHALKALAKI HPF

Info@ais-georgia.ge

www.ais-georgia.ge

(995) 591 883 833

გამომდინარე იქედან, რომ დელეგატების მოდელი წარმატებული აღმოჩნდა საზოგადოებასთან ნაყოფიერად თანამშრომლობისთვის, განსაკუთრებით კი Covid-19 პანდემიის კონტექსტში, გადაწყდა დელეგატების რაოდენობის გაზრდა.

„ახალქალაქი ჰესი“ აგრძელებს ადგილობრივი თემების მხარდაჭერას სოციალური პროგრამით. სოციალური პროექტების განხორციელების სტატუსი 2022 წლის 30 ივნისის მდგომარეობით წარმოდგენილია ქვემოთ:

პროექტი	სტატუსი	ბენეფიციარები
კორხის სპორტდარბაზის მშენებლობა	• მიმდინარე	სოფელი კორხის ახალგაზრდები
ორჯას სატუმბი სადგურის მილსადენის სადგურის რეაბილიტაცია	• მიმდინარე	სოფელი ორჯას მცხოვრებნი

ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია დასრულებული პროექტები:

პროექტი
• დილისკას სასმელი წყლის მილსადენი რეაბილიტაცია
• დილისკას ახალი სასაფლაოს გზის საფარი და სანიაღვრე სისტემის რეაბილიტაცია
• ქალწული ვარვარას ქუჩის გასწორება დილისკაში
• დილისკის ძველი სასაფლაოს პარკინგის ადგილის გასწორება
• კორხის საცურაო აუზის მშენებლობა
• ორჯას სატუმბი სადგური მშენებლობა

AKHALKALAKI HPF
Info@ais-georgia.ge
www.ais-georgia.ge
(995) 591 883 833

ადგილობრივი მოსახლეობის დასაქმება

ადგილობრივი მოსახლეობისათვის განვითარების დამატებით ხელშეწყობის მიზნით, კომპანია ითვალისწინებს მათი პროექტზე დასაქმების ხელშეწყობას, შესაბამისი ტექნიკური ცოდნისა და უნარების გათვალისწინებით.

ვინაიდან, პროექტის მშენებლობის ეტაპი სულ უფრო უახლოვდება დასასრულს, დასაქმებულთა რაოდენობა მცირდება.

ქვემოთ მოყვანილ დიაგრამაში მოცემულია ადგილობრივი დასაქმების სტატისტიკა სამუშაო ძალის კუთვნილების მიხედვით 2022 წლის მეორე კვარტალის მონაცემების მიხედვით:



დაინტერესებული მხარეების ჩართულობა

კომპანიის გუნდი აცნობიერებს, რომ დაინტერესებული მხარეების წარმატებით ჩართვა პროექტის განხორციელების პროცესში საჭიროებს უწყვეტი კომუნიკაციის ნაკადის შემქნას, დაინტერესებული მხარეებისთვის საჭირო ინფორმაციის შესახებ მონაცემების მიწოდებას.

კომპანიის გუნდის მიერ ხორციელდება რეგულარული შეხვედრები ზემოქმედების ქვეშ მოქცეული თემების გამგებლებთან, სოფლისა და მუნიციპალიტეტის წარმომადგენლებთან.

2022 წლის მეორე კვარტალში, ჯამში ჩატარდა 14 შეხვედრა თემების დელეგატებსა და მერის წარმომადგენლებთან, ახალქალაქის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარესა და კეთილმოწყობის სამსახურთან.

საჩივრების დროული და ეფექტური მართვისა და მათი კონსტრუქციულად გადაჭრის ხელშეწყობის მიზნით კომპანიამ შეიმუშავა დაინტერესებული მხარეების საჩივრების მექანიზმი.

პროექტის ფარგლებში შემუშავებული საჩივრების მექანიზმი ხელმისაწვდომია ყველა დაინტერესებული მხარისთვის. საჩივარი შეიძლება ეცნობოს კომპანიის გარემოსდაცვით და სოციალურ მენეჯერს და საზოგადოებასთან ურთიერთობის ოფიცერს სიტყვიერად, წერილობით, ელექტრონული ფოსტით, ტელეფონით ან პირადი შეხვედრისას. მათი საკონტაქტო ინფორმაცია ხელმისაწვდომია თემის წევრებისათვის და მოცემულია კომპანიის ვებ-გვერდზე: http://www.ais-georgia.ge/

ჩვენ ვზრუნავთ ბავშვებზე

კომპანიისათვის უმნიშვნელოვანესია, დროულად გამოავლინოს, აღმოფხვრას და მართოს უსაფრთხოების რისკები, რომლებიც დაკავშირებულია მის საქმიანობასთან, ასევე უზრუნველყოს უსაფრთხოების უმაღლესი ხარისხი და არა მხოლოდ საპროექტო, არამედ სოფლების მიმდინარე ტერიტორიაზეც თემებთან მუშაობის პროცესში კომპანია ყოველთვის წინა პლანზე აყენებს ბავშვებსა და მათ უფლებებს, განსაკუთრებით, როდესაც საქმე ეხება უსაფრთხოებას. ბავშვები ბუნებით ცნობისმოყვარეები არიან და ხშირად ცდილობენ შეისწავლონ ყოველივე ახალი. თუმცა, ამ პროცესში, ხშირად ისინი რისკებს სათანადოდ ვერ აფასებენ. ადგილობრივ ბავშვებს შორის რისკების პრევენციისა და უსაფრთხოების საკითხებზე მათი ინფორმირებულობის დონის ამაღლების მიზნით შპს „აისი“-მ ზემოქმედების ქვეშ მყოფი თემების სკოლებში ჩაატარა „სასკოლო უსაფრთხოების ტრენინგი“, რომელიც შეთანხმდა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან, ახალქალაქის რესურს-ცენტრთან და სკოლის ადმინისტრაციასთან.

ტრენინგ პროგრამა ემყარება სპეციალურად ბავშვებისათვის შექმნილ მეთოდოლოგიას და მოიცავს ინტერაქტიულ თამაშებს. ტრენინგის მსვლელობისას ბავშვებს მიეწოდათ ძირითადი მესიჯები ჰესის შესახებ, ასევე, როგორი უნდა იყოს მათი ქცევა სამშენებლო მოედნის სიახლოვეს. ტრეინინგი დამატებით მოიცავდა საგზაო უსაფრთხოებას, უსაფრთხო ცურვასთან დაკავშირებულ წესებს და COVID-19-თან დაკავშირებულ ძირითად ასპექტებს.

„სასკოლო უსაფრთხოების ტრენინგი“ ჩატარდა 2022 წლის 8,9 და 10 ივნისს, რომელშიც მონაწილეობა მიიღო დილისკას, კორხისა და ორჯას 220-მა სკოლის მოსწავლემ მე-2-დან მე-8 კლასის ჩათვლით.

AKHALKALAKI HPF

Info@ais-georgia.ge
www.ais-georgia.ge
(995) 591 883 833

ჩვენ ვზრუნავთ გარემოზე

კომპანია აცნობიერებს, რომ გარემო საზოგადოების კეთილდღეობის განუყოფელი ნაწილია. გარემოს მდგრად განვითარებაში წვლილის შეტანის ერთ-ერთი საშუალება ხეების დარგვაა. დედამიწის დღის აღსანიშნავად ახალქალაქი ჰესმა ადგილობრივ მუნიციპალიტეტთან თანამშრომლობით 1200 ხე დარგო.

ხეების დარგვაში მონაწილეობდნენ სამცხე-ჯავახეთის გუბერნატორის პირველი მოადგილე და ადმინისტრაციის წარმომადგენლები, ასევე ახალქალაქის მერი, საკრებულოს თავმჯდომარე, რეგიონის პარლამენტის დეპუტატი და სხვა სამთავრობო წევრები.

მთავრობის წარმომადგენლებმა მადლიერება გამოთქვეს ახალქალაქი ჰესის მიმართ და ხაზი გაუსვეს, კომპანიის მაღალი დონის პასუხისმგებლობას გარემოსდაცვით გადაწყვეტილებთან მიმართებაში.